საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 37) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ყ) ლიკვიდაციაში მყოფი კომერციული ბანკები, მიკრობანკები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, მზღვეველები და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები – კომერციული ბანკებისთვის, მიკრობანკებისთვის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისთვის, მზღვეველებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისთვის – საკრედიტო კავშირებისთვის დაუფარავი სესხების, სესხების პროცენტებისა და სხვა დებიტორული დავალიანებების დაბრუნების თაობაზე აღძრულ ყველა სარჩელზე;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

22 თებერვალი 2023 წ.

N2615-XIმს-Xმპ